Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2010 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ --- (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისთვის ---ფიქტური საქონელი (სუფრის ტანსაცმლის) --- (შეძენილი მასალა) შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 120.00 (---ასოცი---) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან --2010 წლის 1 დეკემ-ბრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე (ხელშეკრულები გაფორმების ვადები).

3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფატურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;

4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრამდე (ხელშეკრულების ბოლო ვადა).

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" კონფედენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.
8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
ს/კ 201948928
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502, ა/ა 123361000

თეატრის მმართველი
დავით დოიაშვილი

მიმწოდებელი:

მისამართი: ქ. თბილისი ეღიაზარ ბახტაძის

საიდენტიფიკაციო კოდი: 102059745

ტელ:

ბანკის ანგ :

„მიმწოდებელი"

დირექტორი

ხელმოწერა